



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 36

„25“ სექტემბერი 2014 წ.

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და
განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, ასევე 93-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7-ე და 204-ე მუხლების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შემოღებული იქნეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები

1. საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

2. საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.

ა) სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების 0,6 პროცენტი.

3. ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) 40 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.1 პროცენტი;
- ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.9 პროცენტი.

4. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ქონების გადასახადი ერთ ჰექტარზე შეადგენს:

- ა) სათიბებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 20 ლარს;
- ბ) საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 16 ლარს;
- გ) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსათვის - 86 ლარს;

დ) ტყის მიწებისათვის, რომლებიც გამოიყენება სასოფლო - სამეურნეო დანიშნულებით:

- დ.ა) სათიბებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 20 ლარს;
- დ.ბ) საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 16 ლარს;
- დ.გ) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) - 40 ლარს.

5. ამ დადგენილების მიზნებისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ტერიტორიული კოეფიციენტი შეადგენს :

- ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - 0.7.

6. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი (ერთ კვადრატულ მეტრზე განისაზღვროს ამ დადგენილების მე-5 მუხლში მითითებული

ტერიტორიული კოეფიციენტების გამრავლებით საბაზისო განაკვეთზე - 0,24 ლარი) წელიწადში შეადგენს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - 0,168 ლარს.

7. ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 3 ლარი.

8. ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული და მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ფიზიკური პირების თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული მიწის ნაკვეთები 10000 კვ.მეტრამდე და 30 კვ.მეტრი ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი